საჯაროსამართლის იურიდიულიპირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფოუნივერსიტეტი

ბრძანება№ 01-09/775

ქ. ბათუმი 31-ოქტომბერი, 2016 წ

,,2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო ბსუ-ს საბაკალავრო, ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა სტატუსის შეჩერების შესახებ აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ" ბსუ–ს რექტორის 2016 წლის 19 ოქტომბრის№01- 09/694 ბრძანებაში ცვლილების შეტანისშესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-56-ე, 63-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–13, 66–ე მუხლების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილებაში დამატების შეტანის თაობაზე ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ებ:

1. ,,2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო ბსუ-ს საბაკალავრო, ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა სტატუსის შეჩერების შესახებ აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ'' ბსუ–ს რექტორის 2016 წლის 19 ოქტომბრის №01- 09/694 ბრძანების მე-5 პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,,5. **2016 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით ფინანსური დავალიანების მქონე** ბსუ-ს სტუდენტთა მიმართ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცეს 2016 წლის 02 ნოემბერს, ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად".

2. **დაევალოს ფაკულტეტების დეკანებს** არაუგვიანეს 2016 წლის 2 ნოემბრისა წარმოადგინონ სამსახურებრივი ბარათები იმ სტუდენტთა შესახებ, რომელთაც 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში არ გაუვლიათ ადმინისტრაციული რეგისტრაცია.'

3. ბრძანება აღსასრულებლად დაეგზავნოს უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებ გვედზე და საინფორმაციო დაფებზე (კანცელარია და ფაკულტეტები).
ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30);
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მ. ხალვაში**